



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 179

2015 წლის 08 დეკემბერი

ქ. თბილისი

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს
გამოცხადებისა, კონკურსის პირობების, საკონკურსო დოკუმენტაციის და შეფასების
კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 18 სექტემბრის №134 ბრძანებაში ცვლილების
შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო
სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების
მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის მაია ქაჯაიას სამსახურებრივი ბარათის (N1246937, 30.11.2015)
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო
და ვინჩი“-ს გამოცხადებისა, კონკურსის პირობების, საკონკურსო დოკუმენტაციის და შეფასების
კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 18 სექტემბრის №134 ბრძანების მე-2 პუნქტით
დამტკიცებულ დანართი ერთის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში და აღნიშნული პუნქტი
ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკონკურსო გამოფენაზე კონკურსში შერჩეული კონკურსანტები საკონკურსო კომისიის
წინაშე წარდგებიან ხანმოკლე პრეზენტაციით თავიანთი გამოგონების შესახებ. საკონკურსო
კომისია გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებსა და სპეციალური პრიზების მფლობელებს,
კერძოდ, გამოვლინდება ერთი გრანპრი, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი
პროექტი. გრანპრით დაჯილდოებული პროექტის ავტორი გაემგზავრება საზღვარგარეთ
შემეცნებითი ტურით. პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორი დაჯილდოვდება 5000

ლარის ოდენობით, მეორე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 3000 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 2000 ლარის ოდენობით. ჯგუფურად წარმოდგენილი პროექტების დაჯილდოების შემთხვევაში შესაბამისი თანხა თანაბრად იყოფა ჯგუფის წევრებს შორის.“.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.

3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მარინე ჩიტაშვილი

